ორშაბათი, 26 აგვისტო 1918 წ.

სოციალისტ-ფედერალისტი

დასაბეჭდი მასალები მიიღება „სოციალ-ფედერალისტის“ რედაქციაში, ყოველ-დღე, დილის 10—2-მდე, დასაღამ 6—8-მდე. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები. ფოსტის მისამართი წერილებისა და ფულისათვის: ტფილისი ლორის-მელიქოვის ქ. № 1. „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს რედაქცია.

ფასი ტფილისში და ტფილის გარედ შვიდი შაური. რკინის გზის სადგურებზე 9 შაური.

ფასი 35 კ.

№ 8 ტფილისის სოციალ-ფედერალისტ მუშათა კავშირის გაზეთი № 8

ივლისის 8-დან გამოდის ტფილისის სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა კავშირის საორშაბათო გაზეთი

„სოციალისტ-ფედერალისტი“

რომლის მიზანიც არის: მდაბიო და სადა ენით აუხსნას საქართველოს მშრომელ ხალხს დღევანდელი მდგომარეობა, შეიტანოს მათში კლასიური შეგნება და ხელი შეუწყოს მათ დარაზმვას სოციალ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის დროშის ქვეშ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის განსამტკიცებლად.

გაზეთი ღირს ცალი შვიდი შაური.

პროვინციელ ამხანაგებს ვთხოვთ გამოგზავნონ წერილები სოფლის და პროვინციებს ცხოვრების შესახებ, შემდეგი მისამართით ტფილისი ლორის-მელიქოვის ქ. № 1. (ძველი სემინარია) „სოციალისტ-ფედერალისტის რედაქციას“.

ორშაბათი 26 აგვისტო

ეროვნული ცხოვრება

ეროვნული ვრება ბევრ გადუთავკერძობა. შინჯავ აზრებს ემყარება. თანამედროვე კაცობრიობა მთვრალი კაცივით დაფარფატებს, და ხან აქეთ გადიზნიქება, ხან იქით. მას ვერ ალმოუჩენია ის ძალა, რომელიც გაამაგრებს ერთ ადგილას და მისცემს საშუალებას, რომ პირდაპირ და დაუბრკოლებრივ იარაოს ცხოვრების გზაზე. [illegible] ლობის, ამ მერყეობის და აზრის სიბნელის ბრალია ის, რომ ჩვენი ცხოვრება აუარებელ საშიშროებით აივსო, და ადამიანი ცხოვრებამ დაიმონავა. ისტორიის გართულებულმა პირობებმა დაასნეულეს ადამიანი, და იქამდე მოსტეხეს იგი, რომ ბოლოს ადამიანმა თავისი თავი უარჰყო კიდეც, და ადამიანი უბრალო იარაღად გამოაცხადა. რის იარაღად?—საზოგადოების. საზოგადოება რაღაა? ადამიანთა კრებული. ე. ი. ადამიანი ადამიანის მსახურად აქცია. თავის-და-თავად ეს საშიშროებაა, ეს ბოროტებაა, მაგრამ ადამიანის გონება იმდენად დააჩლუნგა ცხოვრების სიმძაფრემ, რომ ეს ბოროტება ადამიანმა არამც თუ ვერ იგრძნო, მიზნადაც კი დაისახა. საზოგადოება, კაცობრიობა, აი ის ჯადოსანი რამ სიტყვები, რომელიც დაუწყრეს ადამიანებმა ადამიანს სალოცავად და სამსახურად. და იმის გარკვევა კი, თუ რა არის საზოგადოება, კაცობრიობა, და რა არის მათი მიზანი, აი იმის გარკვევა სალი გონებით ვერ შესძლეს. ამ გვარმა ყალბმა აზროვნებამ შავი ზოლივით გაიარა კაცობრიობის ისტორიის გულში, და მოწამლა გარემო. დღესაც ამ მოწამლულ გარემოში ვცხოვრობთ. იზრუნე სხვისთვის—აი ის ბრძანებითი კანონი, რომელსაც აკისრებენ დღეს ადამიანს. დაივიწყე შენი თავი—აი ამას ჩასძახიან ყველას ყოველ მხრივ. და უბირი მოქალაქეც წმინდა გულით უსმენს ამ სიტყვებს, ქეშმარიტების უმაღლეს ცნაურება ეჩვენება ეს მისთვის გაუგებელი სიტყვები. დიახ, გაუგებელი. მხოლოდ სხვისთვის ზრუნვას, თავის დავიწყებას ადამიანი ვერ შესძლებს. ადამიანი უპირველესად ყოვლისა თავ კერძაა, და ასეთიც უნდა იყვეს. მხოლოდ ამ თავკერძობასთან ერთად არ, უნდა დაავიწყდეს, რომ არსებობს სხვაც, მისივე მსგავსი ადამიანი, რომელსაც ისეთივე უფლება აქვს ქვეყნად არსებობისა, როგორიც მას. ე. ი. ადამიანი სხვას უნდა ისე მოექცეს, როგორც სურს, [illegible] მას სხვა. სწორედ აქ იქნება ის მტკიცე დულაბი, რომელზედაც უნდა აშენდეს ადამიანის ან თუ გნებავთ კაცობრიობის კეთილ დღეობის დიდი დარბაზი.

ისევე უნდა ითქვას ერზედაც, რადგან ერი არის გადიდებული ან და გამრავლებული პიროვნება, საკუთარ ენით, ხასიათით, ისტორიით, ჩვეულებებით, მიწა-წყლით და სხვა .. როგორც პიროვნებას, ისე ერებსაც ჩასჩიჩინებდნენ, რომ უკუაგდეთ თქვენი ეროვნება, და შეუერთდით ერთ მთლიან კაცობრიობას, რომელსაც ვეღარ გაჰყოფს თვით ჯოჯოხეთის კარებიც კი. „არ არის არცა ელლინი, არცა ივდეველი“. და აქაც ისევე მოსტყუვდნენ., როგორც კერძო ადამიანის შესახებ.

ოცნებით და მოჩვენებით ცხოვრება ხომ არ შეიძლება. ცხოვრებასთან ახლო მისვლაა საჭირო, და საკუთარ წადილთა თამამი გამომჟღავნება.

რა კერპია ეს კაცობრიობა? რა ძალაა მასში?—იგივ ძალაა რა ძალაც კერპებსა ჰქონდათ ე. ი. არაფერი. თავისთავად კაცობრიობა არ არსებობს. არსებობენ მხოლოდ ერები. აი ამ ერებს ეუბნებიან: თავი დაივიწყე, ან შენ თავს ებრძოლე კაცობრიობისთვისო. თოთქო ეს კაცობრიობა რაღაც სხვა იყოს, და არა იგივ ის ერები, რომელთაც თვითმკვლელობას უქადაგებენ. და აი ამ საშინელ მოძღვრებას, ამ ველურ ქადაგებას ინტერნაციონალიზმს ეძახდნენ, და დღესაც ეძახიან კაცობრიობის თვალ-აკრული საჭურისები. ჩვენ კი ვეუბნებით წინააღმდეგს. ერი, როგორც პიროვნება, ეს უწმინდესი რამ არის, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს საშინელ მზაკვრობას. არა ერთა მოსპობა, არაფერ ამ ერთა განმტკიცება. მაგრ აყვავება, აი რა იხსნის საერთაშორისო ცხოვრებას, ან და [illegible] ინტერნაციონალს, რომელიც ჩვენ თავისუფალ ერთა კავშირის სახით გვაქვს წარმოდგენილი.

დიახ, დღესაც მრავლად მოიპოვება ხალხი, [illegible] ძვლის სარქველ ქვეშ ტანშეხვეული, რომელ მსაც მოსპობიათ უნარი არა სხვის დანახვის, არაფერ საკუთარ არსებობის ცნობისაც. და ამგვარი ხალხი ჭკისრულობს მედროშეობას, რომ ცხოვრებას გეზი მისცეს, ახალ კვალს გაუყენოს. რა უბედურება იქნებოდა, რომ ცხოვრებაც მათ ნაკვალევში ჩამდგარიყო. აი მაგ. რუსი სოც.-რევოლიუციონერები ეკამათებიან ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს, და სხვათა შორის მოაგონებენ, რომ ჩვენ „მენშევიკებს“ ვაფრთხილებდით **ეროვნულ ეგოიზმისა და სეპარაციისაგან.** მაგრამ ამის [illegible] ეროვ[illegible] სოც.-რევოლიუციონერებს უბედურებად წარმოუდგენიათ. თავის და თავად თითქო აღმაშფოთებელი აქ არა არის-რა. მაგრამ თუ ჩაჰხედავთ ღრმად, ბევრ რასმეს დაინახავთ. რა არ იქნებოდა ეროვნულ ეგოიზმი და სეპარაცია? ის რომ ჩვენ, ქართველები ისევ რუსეთში დავრჩენილიყავით ხომ? და რუს სოც.-რევოლიუციონერებისათვის ეს განა ეროვნული ეგოიზმი არ არის? თუ კავშირს გვასწავლის, აკი მოკავშირეკ [illegible]ავიჩინეთ? მაგრამ აქ კავშირში კ[illegible] არ არის საქმე, არამედ საქართველოს მიწა-წყალზე დასტირიან რუსეთის ნანგრევებს, და ეს კი [illegible]ვა არა არის რა, გარდა ეროვნულ ეგოიზმისა. თავკერძობა ეს არის. მხოლოდ თავ-კერძობა არ[illegible]ტივსაცემი და მისაღები, არამ[illegible] დასაგმობი. პატივსაცემი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, რომ ყველას მეზღოს ის, რაც ეკუთვნის უმაღლეს ადამიანობის და საკუთარ ერ[illegible]ლ[illegible]ძალით.

ეს ჩვენ „ტრუდოვოე ზნამიასაგან“ არ გვახსოვს. ჩვენ უფლებლებს იგი არადრო[illegible] არ გამოჰქომაგებია. არც გვჭირდა. მხოლოდ ჩვენ უნდა უპატრონოთ ჩვენს თავს. მხოლოდ საკუთარ მარჯვენით უნდა გამოვჭედოთ ჩვენი ბედი. ეროვნული ეგოიზმ[illegible] მუდამ ყოფილა ჩვენში, და დღეაც საჭიროა. რათ გვინდა ის ქვეყანური სამოთხე, თუ კი [illegible]ში ჩ[illegible] არ ვიქნებით? რად ვემსახურ[illegible] რაღაც უაზრო კაცობრიობ[illegible], რომელიც ჩვენს მოსპობას მოხოვს? არა. ჩვენ უკეთესი გზა[illegible]ქვს და გონება—ჭირვეულებს ვერ გავყვებით. ეროვნულ ეგოიზმის საღი განვითარება, ყველა ერის თავისუფლება, და ამ ერთა თავისუფალი კავშირი—აი ერთად ერთი და სწორი გზა ადამიანთა ზიარ ცხოვრების მოსაწესრიგებლად. აქ ადამიანი ადამიანისთვის არც მგელია არც ვირი. ადამიანი და ერი აქ სწორ-ღირებულნი არიან და ჩვენც იქით მივდივართ.

ჩვენ სხვის სიყვარული კი გვინდა, მაგრამ არა თავ-დავიწყებით; ჩვენ ზიარ ცხოვრების მომხრენი ვართ, მაგრამ ჩვენ თავს კი არ ოოვსპობთ. ჩვენ პიროვნებას და საზოგადოებას, ერსა და ერებს შეხამებისაკენ მოუწოდებთ, ერთმანეთის უფლებათა ცნობას და პატივცემას ვავალებთ ერის თავისუფლებიდან ერთა კავშირისაკენ,—აი ჩვენი გზა ამ გზას არც გადაუხვევთ. ყველა გონიერი ადამიანი აქ ჩვენთან უნდა იყვეს. საქართველოც ჩვენთან იქნება.

მიწის საკითხი;

ძ

[illegible] მიწის მუშავ ჩვენ მასაზრდოებელი, ჩვენი არსებობს საძირკველი, დედამიწის ბედის კანონის გამოცემა, როგორ აპირობენ სოციალ-დემოკრატები, [illegible] ... [illegible] მიწ[illegible]ზე სოციალ დემოკრატებს, სოციალისტ ფედერალისტები, ამის შესახებ მოკლეთ ვისაუბრეთ ამ გაზეთის წინა ნომრებში.

მიწის საკითხის გადაწყვეტას კიდევ სხვებიც ფხიზლად უყურებენ. თუ სოციალისტ ფედერალისტებს და სოციალ-დემოკრატებს განსხვავება გვაქვს. მიწები როგორ დაუჭიროთ მშრომელ ხალხსაო, მესამენი, ესე იგი, ის ხალხი, რომელთაც ჩამოერთოთ მამულები და რომელთა ქომაგათაც გამოდის ეროვნულ დემოკრატების პარტია, ამობენ და იბრძვიან რომ ჩამორთმეულ მიწების ფასი აუნაზღაურდეთ მემამულეებსო, და გლეხებმა ბანკში შეიტანონ მიწის ფასი მემამულეების და ხაზინის სასარგებლოთო; გლეხებმა მიწები ვამოსყიდვით შეძენილი დაიმტკიცონ კერძით და როგორც უნდათ ისე მოიხმარონო, თუნდა გაყიდონ, თუნდა სხვას მიაქირაონო მიწის გაქირავებას, გაყიდვას და იჯარას ისევე ემხრობიან [illegible]ოგორ[illegible] სოციალ-დემოკრატები, ხოლ[illegible] [illegible] განსხვავებით რომ, გამოსყიდვის დროს მიწებში [illegible] ფასს, სოციალ დემოკრატები ხაზინაში არ[illegible]ენ, რო[illegible], ხალხის საჭ[illegible]ებისთვის [illegible], და [illegible]ოვნულ დემოკ[illegible]ტ[illegible] კ[illegible] [illegible]ამ ფულ[illegible]ან [illegible]ულ[illegible]ებ[illegible] [illegible] [illegible] [

სურველია. და ჩვენ სოციალისტ-ფედერალისტები რაზედ უნდა ავიკიდოთ სხვებს, იქნება იმიტომ რომ სახელი გვიკითხეთ? მაგრამ ეს მაშინ არ ვქენით როცა გეკრძალებოდა, დღეს კი არ გეშინდება! სხვის სახელის ალსადგენად? ეს ხომ კუდა ხარის საქმიანობა იქნებოდა? ან რომელი პარტია ცდილობს, რომ ჩვენზე სწორი შეხედულება შეიტანოს ხალხში? რომელი არ გვწინააღმდეგავს ყოველ შემთხვევის დროს? ან შარშან რა მოვიგეთ, როცა თბილისის უკრაინელთა ფიქტიურ რადასთან ბლოკი შევკარით? ქართველი თანამგრძნობლები დავეფრთხეთ და ჩვენი ლარიები მხრებით ორი უკრაინელი გავიყვანეთ ქალაქის საბჭოში და საკუთრად ჩვენ ორი ადგილი ლა დაგვრჩა, როცა ოთხივე ჩვენი იქნებოდა, რომ ეს მარცხი არ მოგვსვლოდა! ან ახლა ფოთში რომ ორი სოციალ დემოკრატი გასულა ერობაში და ორი ნაციონალ-დემოკრატი და არც ერთი ჩვენი, ეს რაღას უნდა მიეწეროს? იმავე შერიგებას, შეთანხმებას, საანხანაგო სიის ბოლოში მოქცევას.

სოციალ-დემოკრატები, როცა სჭირდებათ, სოციალისტობის პატენტს გვაძლევენ და გვუბნებიან ხოლმე სოციალისტური პარტიები შევთანხმდეთო მაღლობელი ვართ, მაგრამ მაგათთან კავშირი არჩევნებში ჩვენ არ გამოგვადგება, რადგანაც კარგსა და პირველ ულუფას ყოველთვის თვითონ აღლებენ და ხშირად ჩვენ არაფერი არ დაგვრჩება, გარდა სოციალ-დემოკრატებთან კავშირის ტკბილ-მწარე მოგონების. ამის მაგალითს მოვიყვან; ზემო იმერეთის რაიონებში ხარაგოულში და ზესტაფონში კარგ განწყობილებაში ირიან ამჟამად სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები და შეთანხმებაც მოახდინეს, თუ ვის რამდენი ადგილი ერგოს ერობის არჩევნებში. მეგობრულ ლაპარაკში ერთმა მოწინავე სოციალ-დემოკრატმა, რომელსაც მე შეიძლება სოციალისტ-ფედერალისტი არ ვეგონე, ჩემ შეკითხვაზე მიპასუხა: ცოტ-ცოტა [illegible] ... ისეთ ადგილზე [illegible] ... ბრძვაკლებსო. ხარაგოულის რაიონში, თუ არ ვცდები, ათი ადგილიდან ორის მეტი არ დაუთმეს სოციალისტ-ფედერალისტებს, და ისიც პროექტში, და ეს იმ დროს, როცა ხალხის უმრავლესობას პირველი ნომრის და მენშევიკების სიხელის გაგონებაც კი ეზარება და სოციალისტ ფედერალისტებს უფრო სიმპატიით ეპყრობა უკანასკნელ ხანებში, რადგანაც ცხადათ დარწმუნდა, რომ ცილის წამება იყო ყველაფერი რასაც მოწინააღმდეგენი აბრალებდნენ მათ.

ჩვენს პარტიას აქვს რწმენა საკუთარი ძალებისა და შეგნებული აქვს თავისი მაღალი მოწოდება ქართველი ერის ეროვნულ და სოციალურ კეთილდღეობის მოწყობისა. ჩვენი პარტია დღეს სოციალ-დემოკრატებმა შეთანხმებულად თან იცავს დემოუკიდებელი საქართველოს ყველა ფრონტებს. მაგრამ ის სოციალ-დემოკრატული არ გამხდარა, ვერც გახდება, რადგანაც დიდია მათ შორის პროგრამული განსხვავება. ამიტომაც საკუთარი ძალების გროვება, მათი დარაზმვა, ყოველ ადგილს, როგორც ქუჩაში, ისე პარლამენტშიც, ხაზგასმა საკუთარი სახისა უნდა იყოს სოციალისტ ფედერალისტთა პარტიის თვითეულ წევრის მოვალეობა. თუ საკუთარ მაგარ ფეხზე არ ვიდგებით, ვერც კარგი მოკავშირეები ვიქნებით სხვებისა და საერო საქმის მესვეურებად როგორღა გამოვდგებით.

პარტიაში დისციპლინა სანუკვარი მოვლენაა, მაგრამ ის არ არის სასარგებლო და არც დისციპლინის მორჩილებას მიაწვალებს, რომ აქაო და ჩვენები ეროვნულ სიბჭოში სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმებულად მუშაობენ ჩვენი ავილით პარტიულ მუშაობაზე პროვინციებშიო გამოსვლისა როგორც ზევითში ვთქვეთ ვარის მრავალწინა ნიშანი იმისა, რომ შეთანხმებულ შეერთებულ, გამოსვლით სოფ.-დემოკრატებთან ჩვენი პარტია ბარალობს და ბარალობს ისე, რომ წელის წამოღებაც გაუჭირდება, [illegible] ... რა გვაძულებს ჩვენ ამ ჩვენთვის დამ-

ლუპველ შეთანხმებაზე მოვაწეროთ ხელი? ამაზე შემდეგ.

ს. აბულაძე

გორის მაზრაში

საქართველოს მთავრობის ერთ უმთავრეს შეცდომათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მთავრობა ძლიერ ნაკლებ ყურადღებას აქცევს სოფელს. მე ველაპარაკები გორის მაზრაზე და თამამათ შემიძლიან ვსთქვა რამ თითქმის უპატრონოდ არის დატოვებული ეს მაზრა მაშინ როდესაც ყველაზე დიდი ყურადღების მიქცევა უნდა ამ კუთხეს. თუ ვინმეს გადაჭარბებულად ეჩვენება ეს გარემოება მე ვეკითხები მთავრობას იცის თუ არა ქართლის გლეხობამ საქართველოს თავისუფლება, როგორც მომხდარი ფაქტი„ და იცის თუ არა საქართველოს მთავრობამ რომ ქართლის გლეხობას არაფერი გაუგია საქართველოს თავისუფლებაზე? არ იცის არაფერი გლეხობამ საქართველოზე არც იმის თავისუფლებაზე. და შეიძლება არც მთავრობამ იცოდეს ეს გარემოება და თუ იცის დიდ დანაშაულათ ჩაეთვლება მთელი მაზრის უყურადღებოდ დატოვება. ქართლი ხომ მთავარი ძარღვია საქართველოს მაჯისცემისა. ქართლი ხომ ბურჯია თავის ქოჩორა ბიჭებით საქართველოს კეთილდღეობისა, მისი რკინის მკლავი მნოიანი საფუძველი და შედეგი ამ უპატრონობისა, უყურადღებობისა არის ის სულიერი გაბნყობილება, რომელიც არსებობს იქ და შეიძლება ითქვას რომ თუ კიდევ გასტახა ესეთმა მდგომარეობამ თუ მთავრობა არ გაიგო ხალხმა, და მთავრობამ ხალხი, ქართლში აჯანყება იფეთქებს, უსათუოდ იფეთქებს და მეორე ნუდარავინ გამტყუნებს უდანაშაულო ხალხს. რაშია საქმე? იძნებ მართლა გახულგანდა, დინჯ ქართველი? იქნებ მართლა გაბალშვიკდა და უარ ჰყო თავისუფალი საქართველო და სისხლით დაიხრჩალ რუსეთს ანაცვალა. როგორც ამას აბრალებენ სრულიად უდანაშაულო ხალხს- მაგრამ მე ვიტყვი რომ ერთიც ტყუილია მეორეც. [illegible] ... ბლობლის სიყვარულში, მაგრამ მიზეზი ყველა ამ სიდუხჭირისა, არის სხვა რამ, უფრო ძლიერი ვიდრე პირველი ან მეორე. ვის არ მოეხსენება რომ არც ერთ საქართველოს კუთხეში არ ჰქონდა ბატონ ყმობას ისე მძლავრად ფესვები გაედგარი როგორც ქართლში და შეიძლება ითქვას არც ერთ კუთხეში ისე არ სჯავრებიათ გაბატონებული წოდება როგორც ქართლში.

თუ რა იყო ამის მიზეზი ამას აქ არ გვარკვევ. მხოლოდ ვიტყვი რომ ეს ასეა და ამიტომ ყველაზე კარგი გაგრძელებლა და ყურადღების მიქცევა უნდოდა ამ კუთხეს. ჯერ კიდევ 1905 წლის მთავრობა კარგათ ეხსოვდა ხალხს კარგად ახსოვდა მთავრობის და თავად-აზნაურული ღალატი, აბდუშელიშვილის რაზმი, გოგოხიას დამსჯელი ესსპედიციები. ეხოდა დიდი თებერვლის რევოლიუცია. ხალხი ჯერ შეკრთა, არა სჯეროდა, მოტყუებასა ეშინოდა, მაგრამ შემდეგ რომ დარწმუნდა სიმართლეში ფრთხილი გაბწარებული გლეხი რასაკვირველია აღარ ენდობოდა აღარც მთავრობას აღარც თავად აზნაურებს, და აკი ასეც მოხდა. გლეხობამ შეიძინა იარაღი და საკუთარის ხელით მოინდომა თავის დაცვა. მხოლოდ ამ უდაბნობის და უპატრონობის ბრალი იყო ის საშინელი „თავადების დასჯა“ რომელმაც ქარიშხალივით გადაირბინა ქართლზე და ბევრი ოჯახი გაამწარა, აირია სოფელი. მთავრობა სუსტი იყო დასახმარებლად. თანაც ეშინოდა თავადების ქომაგობა არ დამაწამონ მისთვის. ეს იყო მაშინ კომისარიატი რომ გვპატრონობდა. მაგრამ ამაოდ. ხალხის მასაში დაისადგურა აზრმა მთავრობა თბილისში თავადებს იფარავსო. ხალხი აღელდა, მითქმა მოთქმა შეიქმნა, დაჯერეს. რომ მთავრობა თავადებს იფარავს თბილისში, რადგანაც ვოსყიდულიაო და ყველა მთავრობის ქაცი თავადების დაქირავებულ ქაცად მონათლეს. ამის შემდეგ არ არის გასაკვირველი რომ ვინმეს რამე ეთქვა მთავრობის წინააღმდეგ რომ გლეხობა მას გაჰყოლოდა, ეს არის ერთად ერთი მიზეზი იმ მითქმა მოთქმისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართლში და ეიმლის წყალობითაც ეს კუთხე საუკეთესო ნიადაგად არის გადაქცეული ყოველგვარ მართლაც მავრანზმელ პროვაკატორისთვის. თბილისში ამ დროს მოხდა გარდაქმნა არსებულისა. და დამკვიდრდა ქართული მთავრობა რომელსაც თან დაჰყვა აუარებელი ტეტრი რომლებიც გაიფანტნენ ხალხში და გაეცნენ ქართული მთავრობა ხალხს ისე კი არა როგორიც არის მართლა, არამედ როგორც თითონ უნდათ. ეს კმაოდა. შედეგი ჯერ ეუშეთის აჯანყება სადაც უდანაშაულო გლეხები ბოლშევიკურად მონათლეს. ბორილში კი დაირაზმნენ. ეხლა ვინ არის ამში დამნაშავე გლეხობა თუ მთავრობა რომელმაც სათანადო ყურადღება არ მიაქცია სოფელს? მაგრამ რაც იყო იყო. დღეს ველაპარაკები რაც შეიძლება მალე დახმარება ქართლს. მთავრობა უნდა მივიდეს ხალხთან არა ლექციებით და ორგოჯიკრაპოგანდისტებით არამედ არარაღნ ჩამჯდარი და გადაჭრით უნდა გააგებინოს ხალხს თუ ვინ არეს ამას უნდა მიეცეს ოფიციალური ბასიათი შემდეგ ყველა სოფელში (და არა ზოგიერთში, როგორც დღეს არის) უნდა დაინიშნოს მთავრობის მიერ კომისარი შესაფერი შეიარაღებული ძალით. რომ ხალხმა ანგარნში გაუწიოს, და ყველაზე უფრო რაც საჭიროა „ეანოი“ უნდა შეიტანოს ხალხში, ესე იგი სასოფლო სასამართლოები. რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს ეს, რათა ხალხმა გაიგოს საქმის ნამდვილი ვითარება. არამედ თუ გაიგოს თავის საკუთარი თვალით დაინახოს ქართული მთავრობა. და მაშინ ვნახოთ მართლა ის ხულიგანია, ბოლშევიკი თუ დარბაისელი, აუჩქარებული ნამდვილი პატიოსანი მუშა. თუ ეს არ მოხდებ, თუ გალტანა მთავრობის გულციობამ, უსათუოდ ხალხის უკმაყოფილობა იფეთქებს და შედეგ ნურავინა მონათლავს ჩვენ ქოჩორა ბიჭებს უმგზავსი გახულიგნებულ რუსი ბოლშეეიკის სახელით.

ქ. [illegible]

ცენტრალური კომიტეტი და რკინის გზის მუშები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ კომიტეტმა, რომელსაც წმინდა პროფესიონალური საქმეები უნდა ეწარმოებინა, მოჰკიდა ხელი ადმინისტრატიულ მექანიზმს და მუშები კი დარჩნენ ობლათ.

ვისთვის უნდა შეეჩივლა მუშას თავისი გაჭირვებული დუხჭირი მდგომარეობა, როდესაც მათი ამორჩეული კომიტეტი თვით გადაიქცა მათ ადმინისტრატორ ბატონათ და მათი დანახვისაც კი შინოდათ.

როდესაც მუშამ იგრძნო რომ მას პატრონი და ქომაგი არ უჩანს, დაიწყო ფიქრი მ ქომაგის გამოძებნისთვის და მიაგნა იმ დასკვნას, რომ მისთვის აუცილებელი საჭიროა პროფესიონალურ კავშირი.

დაიწყო აკარა მითქმა მოთქმა. მაგრამ გაბედა არ უნდოდა რომ ეს თავს ედვა ... ტრილხვა დაემსახურებინა კომიტეტი. აქ გამოჩნდნენ ზოგი ერთი ჩვენ „თავხედი“ ამხანაგები და მოაწყეს პროფესიონალური კავშირები: კატორის მუშების, მემანქანეთა, სტროეების და სხვ.

ცენტრალური კომიტეტი ამ მუშათა ამბოხებაშეეფიქრანა და ხელის შეწყობის მაგრ ბრძოლა გამოუცხადა.

ერთ მშვენერ დღეს, როდესაც კანტორის მუშის დელეგატთა კრება გაიხსნა, მოლინათ ცენტ. კომ. წევრი და კრეს უბრძანა დაშლილიყო და კვლ შეკრეფა აღარ გაებედნა, მასთა ერთად გაგზავნა დეპეშები უფროებთან, რათა ურჩებისთვის კვლავ ბილისში ჩამოსვლის უფლება არ მიეთ.

კანტორის მუშებმა მაინც მოახერხეს ჩუმი მისვლა ბოსვლით და მიწერ მოწერით ერ კავშირის დაარსება.

ცენტრალური კომიტეტი მომხდარ მაგალითის წ ... და მას მეტი აღარა დაჰ ... ა რა უნდა ანგარიში გაეწია მ ... ვის და გამოაცხადეს კავშირები კომიტეტის სექციებათ. თუმცა კი ეს კავშირების სურვილს ეწინააღმდეგებოდა.

კავშირების სურვილი იყო გადაექმნათ ცენტრ. კომ, პროფესიონალურ კავშირათ.

ამ ატეხილ აურ ზაურის და სხვა გადაუდებელ საკითხებისა გამო იძულებული გახდა ცენტ. კომიტ. მოეწვიეა მეორე სადელეგაციო ყრილობა, მაგრამ კიდევ ერთი დიდი დეფექტი იქმნა დაშვებული. მუშები არ იყვნენ კმაყოფილნი ჩქარი „შანაურული“ არჩევნებით მაგრამ მათ ანგარიში არ გაუწიეს და იქმნენ დაბარებულნი ძველი დელეგატები.

იმ განსხვავებით, რომ იმ მუშები რომელთაც წინა არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღოთ შეეძლოთ თავიანთ დელეგატი გაეგზავნათ მაგრამ მათ კრებაეედ გადამწყვეტი ხმის უფლება არ მიენიჭათ.

ყრილობაზედ მოვალი შეფერადებული და შეხმატკბილებული ... ბები იქნა წაკითხული. მრავალი კრიტიკაც მოვისმინეთ, იქნებ სამართლიანიც მაგრამ ზურგ მაგარ კრიტიკას ყურადღებას არ აქცევდნენ.

ლამაზ ლამაზმა ლათაიებ ... ზოგიერთ ჩვენს დელეგატებს დაავიწყა თავიანთ და ამხანაგების მოჭირვებული მდგომარეობა.

აურზაური და თავის ტეხვა გამოიწვია მუშების სარგოს მომატებამ. კრებიმ მაინც საბოლოოდ ვერ გამოიშუშავა მომატების სისტემა და მიანდო განსაკუთრებულ კომისიას იგივე ცენტრალურ კომიტეტს, რომელთაც იმის გაკეთების მეტი ვერ შესძლეს, რომ კვერი დაჰკრეს და დაადასტურეს ძველი გაიძვერა ადმინისტრატორთა სისტემა, იმ განსხვავებით, რომ კატეგორიებათ დაყვეს მუშები იმის და მიხედვით ვინ რამდენს იღებდა წინათ.

ამ რიგათ ვინც მეტ ჯილდოს იღებდა, ის უფროს კატეგორიებში მოჰყვა.

დიდ ჯამაგირს კარგათ მოგეხსენებათ თუ ვინ იღებდა ძველი ბატონების ხელში, ვინც ქურდი ავაზაკი, ენერგიანია იყო. ის მუშები კი ვინც წინათ ... ...

ღირებული ფასი დღევანდელ სიძვირესთან შედარებით, გლეხებს დაუტოვონ მუშა ცხენები, მატარებელი ცხენები ჩამოართვან ყველას განურჩევლად, და რაც კიდევ უკეთესია, ცხენები შეიძინონ იმათგან, ვისაც ბევრი ყავს ისინი.

ს. აბულაძე.

სეტყვა კახეთში

წარსული კვირის სამშაბათი და ოთხშაბათი მეტათ მწვავე მკაცრი გამოდგა კახეთისთვის, განსაკუთრებით თელავის მაზრასთვის. ალაზნის მარჯვენა მხარე ამ დღისით განსაცდელში ჩავარდა მრისხანე ბუნების დაუნდობლობით. სამშაბათს ჩვეულებრივი მზიანი ცხელი დღე იყო, მაგრამ შუადღე გადიხარა თუ არა უეცრათ გაჩნდა მოკრიალებულ ცაზე შავი ღრუბლის ნაგლეჯები. აქა იქ ჩამობნელდა და მცირედი ქუხილი მოჰყვა რომელმაც უამბოთ არ ჩაიარა, და სამ წუთს შავათ შემოსილმა ცამ დაუშო წვიმა ქარიშხალით და სეტყვაც სეტყვა და ავდარი ხუთ წუთს გაგრძელდა. სეტყვა წვრილი და მსხვილი ერთმანეთში ირეოდა, მსხვილი სეტყვა არა ჩვეულებრივი იყო, ბაკლის წენგოს სიმსხო და ღა ბორჯღიანი თითქოს ეკლები ან ღერღები ასხიაო, ამ გვარმა სეტყვამ დააზარალა მრავალი სოფელი, თელავი, კურდღელაური კონდოლი, შალაური, ვარდისუბანი, რუისპირი, ახატელი, გულგულა, კოლოთა, ოჟიო, ხოსხელი, ხოდაშენი, აწყური, თოღლაური, იყალთო, და კიდევ ქვევით რამდენიმე სოფლებიც დაუზარალებია, რომელთა ცნობებს ალბათ შეჰკრებენ ვისაც შეეხება მათზე მზრუნველობა. სეტყვა პირველ და მეორე დღეს ერთ დროს და ერთ ზომით განმეორდა, ბურის ყანები მომკილია, მაგრამ სიმინდები კი დალეწა ფეხის მოსავალი ჩაჩეჩვა. კიტრები დაღრღნა ვენახებში მსხმოიარე ვაზებს ისვრიმი დაუტეხა, დაუგლეჯა, და, თუ, გადარჩა რამ, იმ მიზეზით რომ, ჯერ ისვრიმი იყო კუნწმაგარი. თორემ რომ თვალი ყოფილიყო შესული ყურძენში, მაშინ ძთლად გაჰბერტყამდა, გააყრევინებდა, ეხლა კი ზირღლი ნაოთხალია.

საერთოდ კახეთში კარგი ბოფხული იყო, ზაფხული გოლვინი გამოდგა. ყანები ადრე შემოვიდა. კარგი გამოსავალე აქვს; ყურძენი და ხილი იგვიანებს. გვალვამ შეიწუხა და ჯერ დამსხვილდა ვერც ხილი ვერც ყურძენი.

კახეთის ბურის მოსავალ დღეს თბილისსაც ჰკვებავს. თითქმის ყოველ ღღე, მატარებელს ბლომად ტვირთი მოაქვს თბილისიხკენ ფეკილისა, ძნელი გამოსაცნობია კახეთში მცოცავრებთ რჩებათ თუარა წლის საკმაო როცა ბურს ასე ეხვად ჰყიდიან?

ვ. დუშურაშვილი.

სოციალისტები თუ მათი გუშეები

მგელი არა დროს არ შობს ბატკანს ის მაინც ლეკვებს დაჰყრის. საქართველოს სოც. რევოლიუციონერები ნაშობი არიან რუსის რევოლიუციონერების მიერ, და მათი მამობაც ნათლად ემჩნევათ. „ტრუდოვოე ზნამიამ“ თუ დღიურ წესრიგში დაისვა საქართველოს საკითხი და მასთან ბრძოლა მიზნად დაისახა, ვითომ ინტერნაციონალური სახით, ვერ შეურიგდა საქართველოს დამოუკიდებლობას, ეხლა მათგანვე შობილი „შრომამ“ და „რევოლიუციონური დროშაც“ არ ჩამორჩნენ უკან. ვინ არიან ამ ორგანოს პოლიტიკური მწერლები „სებური“ და სხვები ვიცნობთ, ამ ორიოდე მოიტელენტო რუსის გაზრდილებს, რომლებსაც გაუმაძღარი ბატონობის მადა ჰქონდათ გახსნილი, და ეგონათ ამ გზით ადვილად მივალწევთ მიზანს! გახდნენ ბუშები რუსის სოც.-რევოლიუციონერების. მაგრამ ცხოვრების ცვალებადობამ და რევოლიუციის ჩარხის ტრიალმა რუსებს ბატონობა მოუსპო საქართველოზე და რა თქმა უნდა მათი ბუშებიც შეუბრალებლად დარჩნენ.

ეხლა ვითომ დაბალი დობე იშოვნეს და სდც. ფედერალისტებს დაუწყეს კოჭიობა და კბენა. ჩვენი კბენა არც ადვილია როგორც მათ ჭკონიათ. გოშმა კუდი გააბზიკა და მეც ნახირ-ნახირო. არა ბატონებო! თქვენი იმედები გაიძახოდეთ მუშას სამშობლო არ აქვსო. სულ ერთია ფრანგი გერმანელი და ინგლისელი მუშაო. მათ ყველაფერი საერთო აქვთ და არაფერი გარჩევა მათში არ არის, მას ერთნაირათ გაყვლეფს ბურჟუა რომელი ეროვნებისაც არ უნდოს. ამით ასაბუთებდნენ ეს მეცარცხენენი თავის ეროვნულ ინტერესების უარ ყოფას. მეორე მხრით კი საშშობლო და საქართველოვო გაჩყვიროდა მცირე ჯგუფი, რომლის მოღვაწეობა და პროპაგანდა უფრო მაზა სუფრის არ გასცლებია. ცაკარი და ბგელი იყვნენ სწორედ. ერთი მხრით თავადაზნაურობა, რომელიც სიტყვით გაჰყვიროდენ. საქმეზე თუ მიდგებოდა მათ ერჩივნათ ბევრად ჩინ ორდენებში მიწა წყლის უკუგდება, უცხოელების ხელში. ასე რომ ნამდვილი დამცველი ეროვნული სახის არც ერთი არ იყო, და ეს სწორედ ამდროს გამოდის არჩილი, გიორგი მაიაშვილი, გ. ლასხიშვილი, დეკანოსიძე, შიო ჩიტაძე და სხვა მრავალი მომზადებული ინტელიგენტი და დაიწყეს თავის მოქმედება პირველად თეორიულად ეროვნულ გაზეთებში, შემდეგ კი თანდათან გავიდენ ხალხში ამ მოძღვრების მატარებლები და თანდათანობით ხალხს უხსნიდნეს თავის მოძღვრებას. მაგრამ ყველამ იცის თუ როგორ შეეგება მშრომელ ხალხის უმეტესობა ჩვენ მიმართულების გავრცელებას. ჯერ კიდევ ცხრას ხუთში შევიქენით დევნილი ჩვენ, ჩვენს პროპაგანდისტებს ისე სდევნიდნენ რო [illegible] ყოველივე ამის მიზეზი? რა თქმა უნდა ჩვენი მოწინააღმდეგის პროპაგანდა და აგიტაცია.

მოწინააღმდეგები სასტიკ დემაგოგიას ეწეოდნენ ჩვენს წინააღმდეგ რადგან ჩვენი პარტიის გაძლიერებაში ხედავდენ ისინი თავის დამარცხებას. ამიტომაც იყო ჩვენ და დასელებს შორის სასტიკი ბრძოლა. ჩვენ შორის არ უნდა ყოფილიყო ასეთი მწვავე და გაძლიერებული კამათი მაგრამ მიზეზი სწორეთ მათ ეროვნულ პოლიტიკის წარმოება იყო ამას ისინი არ [illegible] სრულებით თავიანთ საგნათ, ჩვენ კი მაინც ვუმტკიცებდით აუარებელი ფაქტებით მათ, რომ მათ მოღვაწეობას ჩვენში ცუდი შედეგი მოჰყვებოდა, თუ ისენი მას არ აღიარებდენ, მაგრამ მოფენელებელი შეიქმნა მათთვის ჩვენი კრიტიკა. ჩვენ ერთს გწერდით, ისენი მეორეს. სწერდნენ სასტიკსა და მეტად ცუდ ხასიათისას, რომილსაც უფრო ხალხის გაღიზიანების ხასიათი ექონდა, ვიდრე მტკიცე და საფუძვლიან პასუხისა. ჩვენი მოწინააღმდეგები ამ ხრივ არაფერს არ ერიდებოდენ, ყოველ ხრიკს მიმართავდნენ, ოღონდ ჩვენს მიმართ უარყოფა ხალხში. მე ამის მარტო ცარიელ სიტყვებს არ ვლაპარაკობ. გადაავლეთ თვალი ამ უკანასკნელ ათი წლის დასელთა ფურნალ გაზეთებს თვალი და ეს ცხადი იქნება. ასედაც არ იყოს ნახეთ რევოლიუციის პირველ დღეებში მათი პროპაგანდა, გაიხსენეთ. მ. გეგეჭკორის დეპეშა, რომელიც ატყობინებდა პეტერგრადის მუშათა საბჭოს ფედერალისტების მოქმედებას. და მე არ მინდა დანარჩენი ვსთქვა რადგან მე თვითონ მრცხვენია და უხერხულად ვგრძნობ თავს იმ ამბების გამო, რასაც მაშინ ადგილი ჰქონდა. ბოლოს ეს ყოველივე ფაქტია, საკმარისია გაიხსენოთ უხვირო აგიტაციის ნაყოფი ჯარში. რა შედეგი მოჰყვა? არავისაც არ უნდა დაავიწყდეს თუ როგორ ეპყრობოდა ჯარის კაცები ჩვენს პროპაგანდისტებს და როგორ ხვევნენ ჩვენს წითელ დროშას, და ამტვერევდნენ ბიუროებს. ყველა მათ თავის თავი სოც დემოკრატის წევრებად მოჰქონდათ რამდენი ჩვენი პროპაგანდისტი იქნა გაძევებული ჩვენი სოფლებიდგან, ისე რომ სიტყვაც არ დაალაპარაკეს, რომ გაეგო ხალხს, თუ რას იტყოდა ჩვენი წარმომადგენელი. როგორც კი ახსენებდა სიტყვას ფედერალისტს, იმ წამს უნდა ადგილიდგან გამოპარულიყო თორე ვინ იცის რა უბედურებას არ შემთხვევოდა, ყოველივე ამას ვგრძნობდით და ვეუბნებოდით რომ მარტო ჩვენთვის კი არა, თქვენც დაგასამარებთ თქვენი ასეთი მოღვაწობათქო. ეხლა ეს აშკარათ ცხადია.

ეხლა ტყუილათ უსაყვედურებენ ბოლშევიკებს. მათმა აგიტაციამ მოწამლა ხალხი მათ ახოლოდ კვერი დაარტყეს და დაამტკიცეს ის, რასაც ერთი წლის წინათ და იქით ლაპარაკობდა მენშევიკების პარტია, და დღეს რა გასაკვირვალია თუ ღრჩხუმელი გლეხი უცებ ვერ მიხვდა რაშია საქმე? გუშინ უმტკიცებდით ფედერალისტები კონტრ რევოლიუციონერი პარტიაო. დღეს კი პარლამენტში ერთათ არიან, სამინისტროში ერთად მუშაობენ. ამის უცბათ ვერ მიხვდა ის ხალხი, ვერ გამოირკვა უცბათ და მოუყვა ის, რაც უნდა მომხდარიყო. რაც შეხება სოც ფედერალისტების ნამდვილნ მოღვაწეობას, ნათელი უნდა იყოს ყველასათვის, ჩვენ პირველათვე ავირჩიეთ ეროვნული პოლიტიკური გზა, და მასთან ერთ წუთსაც არ გვიღალატნია. [illegible] ხომ საქმითაც დაამტკიცა ჩვენმა პარტიამ. დღეს ეროვნულ საკითხის გარშემო ბრძოლა ჩვენში მომქმედ პარტიებს შორის, გათავებულათ უნდა ჩაითვალოს. აქ ამ საგანზე, პრესამ უკვე წერტილი უნდა დაუსვას, პრინციპიალურად უკვე ყველამ აღიარა და იცნეს ერთ უდიდეს საკითხათ ეროვნული საკითხი. თუ როგორ უნდა მეეწყოს სახელმწიფოებრივი წყობილება ამაზე უნდა იქნეს და არის კიდევაც პარლამენტში მუშაობა. დღეის შემდეგ ჩვენი პარტია ეცდება რომ მშრომელი ხალხის კლასობრივი ინტერესი დაიცვას და გაარკვიოს მუშათა საკითხები, მოაწყოს პროფესიური კავშირები, გლეხთა ორგანიზაციები თუ დღემდის ჩვენმა პარტიამ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა აწარმოვა ეროვნულ საკითხის გარშემო, და მით ერთხელ და სამუდამოთ დაუმტკიცა ყველას თავის სიტყვა, ამას იქით ის მტკიცედ და უფრო გაორკეცებით შეუდგება მუშათა კანონების შექმნას და ამითი ნიადაგს მოუმზადებს იმ სანეტარო დროს, რომელსაც ჰქიან სოციალიზმი. მანამდის კი ჩვენ ვიქნებით გამამტკიცებელი ახალ აღდგენილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა.

იონა.

ფერილი ჯარის კაცისა.

ჩვენ ქართველებს გვინდა რომ ჩქარა მოვაწყოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი მდგომარეობა. როგორ შეიძლებოდა საქართველოსთვის კეთილ-დღეობა მოგვეპოვებინა?.

ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით რომ სახელმწიფოებრივი მდგომარეობა მაშინ არის მტკიცე, როდესაც ყოველს სახელმწიფოსა ჰყავს **მუდმივი ჯარი.**

აი მარტო მაშინ შეგვიძლიან ვთქვათ სახელმწიფო გვაქვსო, როდესაც შევქმნით ჯარს.

ვინ არის ამის მიმწეველი ჩვენ ეს არ ვიცით. ჩვენ [illegible] ფიცოდეთ რას [illegible] მთავრობა? ჩვენ არც-კი ვიცით, ვინ არიან ჩვენში ესე იგი საქართველოში ხალხის გამგენი. ჩვენ დღესაც ვერ გაგვიგია ყველა ეს. ან ვინ გაგვაგებინებს, როდესაც ჩვენს ყაზარმებში ოფიცრები არც-კი კადრულობენ შემოსვლას, და თუ დაინახამთ ისიც 10-30 წუთით მეტს თქვენ იმათ იქ ვერ დაინახამთ.

აი მახსოვს, მე როგორც ძველი ჯარის კაცი ნიკოლოზის დროინდელი: მაშინ გათენდებოდა თუ არა როტის კომანდერი და აგრეთვე პატარა ოფიცრები ყაზარმაში ჩვენთან ერთათ ატარებდნენ მთელს დღეს და გვიხსნიდნენ, არა მარტო თვითმპყრობელების სახელებს და გვარებს, არამედ მათ დედა-ბუდიანათ გაგვაცნობდნენ ხოლმე. ამ დროს ჯარიც კარგი იყო, რადგანაც მან იცოდა ვისი უნდა ჰშინებოდა და ვისი ბრძანება უნდა შეესრულებინა. ჩვენ რასაკვირველია ძველებს არ მივბაძავთ, მაგრამ მაინც უნდა ჩვენცა გვყავდეს ისეთი მთავრობა, რომლის სახელთანაც შეკავშირებული იქნება ძალა. მთავრობას უნდა ვგრძნობდეთ ძლიერს. აი ეს არის ერთად ერთი საშუალებას რომლითაც შეგვიძლიან შევქმნათ ჯარი და დავიცვათ ჩვენი საქართველო ყოველი გაჭირვებისაგან და ყოველი შინაური და გარეული მტრებისაგან.

ამით ვათავებ ჩემს პატარა უცოდინარ წერილს, რითაც მოვაგონებ ჩვენს ოფიცრებს ჩქარ-ჩქარა ინახულონ ყაზარმები და აგვიხსნან ყველაფერი რაც შეეხება ჯარს.

ჩვენი მთავრობისაგან იყო გამოცხადებული მობილიზაცია 18—დან 21 წლამდე. რიღაცა რბილად და გულგრილათ უყურებენ ამ მობილაზაციას რადგანაც ბევრ სოფელს არც-კი გაუგიათ რომ ეხლა საქართველოს სჭირდება ჯარი და აბა წარმოადგინეთ თქვენი შვილებიო.

ეს არ ხდებოდა და იმედია რომ მოითხოვენ ყველა იმას, რაც რომ ზევით ვსთქვით.

მაშ გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს და მის ერთგულ ჯარს.

ჯარის კაცი.

ღალატი

ბედის ნიავმა ცით მონაქროლმა,
ფიქრი გულისა შეათამაშა
და ჩუმ სევდასთან მხნედ შენაბრძოლმა
ზრახეა სიცხადით ააკაშკაშა!..
მეც ჩემს იდეას, შეურყეველი
„არ ულალატებ“—მივეცი ფიცი;
მაგრამ ცხოვრება სულ სხვისა მთქმელი
სად გადამტყორცნის, მე თვით არ ვიცი!..

მ. უზნაძე

თბილისი 1918 წელი.

ეროვნული საკითხი

ეროვნული ინტერესი

ეროვნული ინტერესი

ეროვნული ინტერეს

ეუანაზე ერთი კაცი იარება და იარსებებს კაცთა თავ შესაფარი ცა და დედამიწა. ჩვენ დღესაც გვაწუხებენ ბარბაროსები, ხან შიგნით ხან გარეთ, ეს ჩვენი გულ-კეთილობის ბრალია, ეს ჩვენი გადაჯარბებული უზომო კაცთა მოყვარეობის ბრალია ეს ჩვენი დაუდეგრობის ბრალია, ეს იმის ბრალია რო ჩვენი ტურფა სამშობლოს კარები ნებით გაულეთ გაიძვერა ჯალათებს სტუმრათ მოვიწვევეთ მასპინძლობა. დაიჩემეს და ჩვენს ქვეყანაში ჩვენვე გაგვიხდა მათთან სახვეწნი, ყელი მოიღერეს ზურგზე წამოგვასკუპდნენ, ბღვერა არ გვაკმარეს პანღურებს გვცემდნენ, ჩვენს ქვეყანაში ჩვენს ნაშრომს გვტაცებდნენ, ჩვენი ოფლით ცხოვრობდნენ უზომოთ გვატყავებდნენ, აურებელი ხარჯებით გვყვლეფამდნენ, ჩვენი ფულით ნაყიდ ბორკილებს ჩვენვე გვადებდნენ, ჩვენი ქვეყნის ქვა აგურით აშენებულ ციხეში ჩვენვე გვამწყვევდნენ რაა? აბა ხმა ამოიღეო რომ გადასახადი გად გახდევინა მოხელემ, ან ვაჭარმა თამასუქებით გიღალატა, შენი ცხოვრება ხელში ჩაიგდო, მაინც ხმას ვერ ამოიღებდი, იმიტომ რო ღარიბი ქართველი იყავი უსათუოთ სტყუოდი, არც ხმას ამოგაღებინებდნენ შენს ენაზე, რო გორც უნდოდათ ისე გაგასამართლებდნენ, ციხე, მათრახი, ბორკილი, ციმბირი, სახრჩობელა, დახვრეტა, აი შენი სამართალი რა იყო აგრე გვქონდა მუხრუჭი მომართული ასე კვნესოდა მშრომელი საქართველო, მტარვალ ბარბაროს რუსის რეჟიმის დამქაშ მოხელეებს ბრჭყალებში, ასე მიდიოდა ჩვენი ქვეყნის მოსპობის წუთში, მაგრამ დაიგვარგვინა ხალხი თავ დადებულმა ძლევა მოსილმა ხმამ, დაინგრა სულის შემხუთავი ბოროტების ტახტი, და ოვით ხალხი მოექცა თავის საქმეს სათავეში, ჩვენი სამშობლო საქართველოც განთავისუფლდა, ჩვენი ქვეყნის პატრონი ჩვენი ხალხია, დედინაცვალი მოვიცილეთ თავიდან. დღეს ბევრი საქმე გვაქვს საკეთებელი მთელ ქართველ ხალხს, ერთად ხელიხელ ჩაკიდებულნი უნდა ვაშენებდეთ ყველანი საქართველოს ბედნიერებას, თავისუფალ ცხოვრებისთვის სავლელ გზას, უნდა ვაკეთოთ და ვაშენოთ სამშობლოს ყოველ კუთხეს საწყლებისაგან აკინძული მთლიანი საქართველოს ბედი, ვერავითარმა დაბრკოლებამ ვერ უნდა გვძლიოს. და ვერცა გვძლევს, შევიყვაროთ თავისუფლება და მას ველარავინ წაგვართმევს.

ივ. დ—ილი.

უცხოეთში

როგორც უკანასკნელ დროებში ვტყობილობთ, რუსეთში ამ ჟამად დიდი სიმშვიდეა. მაგ. ნოვგოროდის გუბ. რიბინსკში, ბრიანსკში, ორიოლში ვოლოგდაში, ბელოზერსკში, ბუჭირკაში და სხ...

მემკვიდრე ალექსის მკვლელობა.

შეთანხმების სახელწოდითა საგენტის ცნობით, მკვლელობის პირველ რიცხვებში მოკლულ ქნა ნიკოლოზ II მემკვიდრე შვილი ალექსი.

კრევში.

კიევში ამ ძალეს სიტყვა „ანბანგის“ ხმარება

ყანდარები.

სამეფოპოლის კომენდანტმა ქალაქში გამოაცხადა ბანცხადება, რომლითაც იგი [illegible] ყველა ყოფილ [illegible] ჩხარ[illegible]

მილუკოვი.

მილუკოვი კიევში ჩამოვიდა. მას განზრახული ჰქონია მოწყოს კიევში კადეტთა ყრილობა, რომ შემდეგ შესაძლო იყოს იყოს კიევის ისეთ ცენტრად გადაქცევა. საიდანაც შეძლებიან ეჭვებათ რუსეთის მართვა გამგეობისა მიზნად მონარხიის აღდგენა დაუსახავ.

ბოლშევიკების მთავრობა მოსკოვიდან კრონშტატში აპირობს გადასვლას. ამას კავშირი აქვს რუსეთში დაწყებულ აჯანყებას ბოლშევიკთა წინააღმდეგ.

ვოლოგდა.

მოკავშირე საფრანგეთ-ინგლისის ჯარი ვოლოგდას უახლოვდება. ვოლოგდისკენ გზა შეკრულია.

ყოფილ მეფის ოჯახი.

ისპანიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა მეომარ სახელმწიფოთ, ხელი შეუწყონ, რომ რუსეთის ყოფილ მეფის ოჯახი, რუსეთიდან ისპანიაში გადაიყვანონ.

მგზავრის დღიურიდგან

ფოთი ფაზისათვის.

...სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა...

გრ. ორბელიანი.

წარმტაცი და მშვენიერია ფაზისი (რიონი); მეტადრე იმ ალაგას, სადაც ერთის იგი შავ ზღვას. ურიონოდ ფოთი არაფერი იქნებოდა; ფაზისია ფოთის დამიმშვენებელი, მისი თვალის ჩინი. მერე და რამოდენაა აქ ეს მდინარე! ის დაუდგრომლობა, მოუსვენრობა, რომელსაც ქუთაისშიაც კი ვამჩნევთ—აქ ვერ ვხედავთ; მიუხედად იმისა რომ იგი აქ ზღვას ერთვის რამოდენიმე ტოტად, თითო უკანასკნელთაგანი მაინც განიერია მტკვარზე. მართლაც და საქართველოში რომელი სხვა მდინარე შეედრება მას თავისი სილამაზე-სიდიადით?!

— არა, მას ბადალი არა ჰყავს ჩვენს სამშობლოში! დასაწყისში ერთი ნამცეცა-მერე კი ჩასართავში უზარმაზარი და უდიდესი მთელ ჩვენ ქვეყანაში (სიგანით და მრავალი წყლიანობით)!

განა ფაზისი ცნობილი არ იყო შორეულ წარსულში? მაშ არგონავტები მეXIV საუკ. ქრ. წ. როგორ ესტუმრნენ კოლხეთს ოქროს საწმისიანი ვერძისათვის? და განა მარტო ბერძნები მოაშურებდნენ ხოლმე ამა გზით?—რომაელები, ოსმალები და სხვ. და უკანასკნელ ხანებში ხომ გერმანელებიც! დიახ, რიონი როგორც წარსულში, აგრეთვე ეხლა მუდამ წარმტაცი და მიმზიდველი იყო და იქნება.

ფოთის დამაშვენებელია აგრედვე ტაძარი, რომელიც თბილისის სამხედრო ტაძარზე დიდი თუ არა ნაკლები არ იქნება. ბაღი და ბულვარი; ეს უკანასკნელი წარმოადგენს ხეივანს რიონის გასწვრივ და ერთი საუკეთესო ადგილთაგანია მთელ ქალაქში: აქ თითქმის მუდმივ დაჰქრის ნაზი ნელი სიო და გრილა!

ამიტომაც არის, რომ აქაურებისათვის ერთი საყვარელი სასეირნო გასართობათაგანია.

უწინ ფოთს (ფუთს) ერქვა ფაზისი, ე. ი. რიონის ძველი სახელი. იგი ძევს რიონის, შავი ზღვის და პალიასტომის ტბის შუა; როდის აშენდა ფოთი და ვინ იყო მისი აღმაშენებელი ჯერ-ჯერობით ბურუსით არის ჩვენთვის მოცული.

რიონის შესახებ მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიაში“ (გვ. 73) სხვათა შორის მოთხრობილია: „ზოგნი სწერენ, ეს ფაზისი=ფასონი ის ფისონიაო, რომლის შესახებ მოსე წინასწარმეტყველი ამბობსო; „მდინარე გამოვალს ედემით, მომრწყველი სამოთხისა, და მიერ განიყოფის ოთხ თავად: სახელი ერთისა ფისონ. ესე გარე მოვლის ყოველსა ქვეყანასა ევლატისასა, მუნ უკვე არს ოქრო. ხოლო, ოქრო ქვეყანისა მის კეთილ, და მუნ არს ანთრაკი და ქვაჲ მწვანე“.

თუ რა დიდი და უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა რიონს ჩვენი წარსული ცხოვრებისათვის სჩანს შემდეგიდან (იქვე გვ. 77): სტრაბონი ამბობს: 7—8 ვერსის მანძილზე ფაზის შესართავიდან სავაჭრო ნავები თავისუფლად დადიოდნენ, შემდეგ (მეტადრე შორაპნიდამ) საქონელი ხმელით გადაჰქონდათ სურამამდე და იქიდგან მტკვრით კასპიის ზღვამდე. ამ მდინარეების გაყოლებაზე მრავალი ქალაქები და სალაშურები, აგრეთვე 120 ხიდი, სადაურებზედ გაკეთებულია ხის დაფები ზედ-წარწერით გზის მიმართულების საჩვენებლად. ამ სავაჭრო გზის გაძლიერებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ ალექსანდრე მაკედონელი, სელევკოს ასურასტანელი, მისი ძე ანტიოქოსი და სხვ.“.

მახსენდება ერთ დროს თუ რა აყალ მაყალი და განგაში იყო ატეხილი ჩვენ საზოგადოებაში და პრესაში ფოთის ნავთსადგურის აშენება-დაფუძნებ სათვის და რამდენი საყვედური ეთქვა ბ. ნ. ნიკოლაძეს ამისთვის! მერე განა არ დაფასდა ის შრომა და ხარჯი, რომელიც მაშინ გავწიეთ? განა ჩვენ დღეს ჯერ ხანობით გვაქვს კიდევ სხვა უკეთესი ნავთსადგური? გინდაც რომ დაეიბრუნდეს ბათომი, ფოთი ჩვენთვის (ასევე სოხუმიც) აუცილებელია, რადგან ჩვენი ცხოვრების და ქვეყნის ჩარხის ტრიალი ძირიანად შეიცვალა; ჩვენ პირი ჩრდილოეთიდან დასავლეთისაკენ ვქენით; თუ გვინდა რომ ჩვენი ზიარება და შედუღება ევროპის კულტურასთან ძალუმად წინ წავწიოთ და დავაჩქაროთ—ჩვენთვის ეს სამივე ნავთსადგური აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ...

აღსანიშნავია აქ კიდევ "პალიასტომის ტბა“, რომლის აღწერვას ალარ ვამოუდგები, ვინაიდან ვისაც ჰსურს მისი გაცნობა შეუძლიან.

გადაიკითხოს ე. ნინოშვილის (ინგოროყვა) ნიჭიერად დაწერილი თხზულება ამავე სათაურით

ვნახე აგრეედვე უდიდესი გემი გერმანელებისა „გენერალი“ 4-5 სართულიანი, რომელიც იტევს, რამდენიმე ათას სულს და დანიშნულია გასაწმენდათ ჩვენი ქვეყნისა ზედ-მეტი უცხო ელემენტებისაგან, ე. ი. ლტოლვილებისაგან (იგი გაგიდა ფოთიდან 17 მკათათვეს); ესეც კიდევ ერთი ფაქტი გერმანელების რეალური დამარცხისა საქართველოსადმი...

მიუხედავად მრავალ ნაკლულევანებათა მომავალი ბრწყინვალერა ძეს უქადის როგორც ფოთს, ასევე მის მეზობელ სოხუმს და ბათომს...

მხოლოდ უნდა აღვნიშნო მოუწესრიგლობა სანიტარულ გიგიენურ მხრივ სამგზავრო მატარებელში. თქვენ წარმოიდგინეთ მე 2 კლასის ვაგონებიც კი მთელი დღის განმავლობაში არ სუფდავდება ნუდარას იტყვ თ თვით სადგურებზე; საჭიროა რკინის გზის ადმინისტრაციამ მეტი სათანადო ყურადღება მიაქციოს ამ ხოლერიანობის დროს მაინც.

ერმალოზ კახი.

15 მკ.—1918 წ.
ქ. თფილისი.

სოფელი კინკნაველეთი

(ქუთ. მაზრა:)

რევოლიუციამ ყველგან მოახდინა თავის გავლენა, და რა თქმა უნდა მას არც ს. კინკნაველეთი ჩამორჩენილა, იგიც ჩაება საერთო ფირხულში და აქაც რევოლიუციის პირველ დღიდანვე შეიქნა პარტიული მუშაობა. მაგრამ როგორც სხვაგან, ისე აქ ხალხი პირველ ხანებში ძლიერ გამოუჩკვეველი იყო, შემდეგ კი თანდათანობით გამოჩკა და თავის თავს სთვლიდნენ სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიების წევრებათ. საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში დიდი უმეტესობა „მშრომელი ხალხისა“ სოციალ-დემოკრატების პარტიის წევრად სთვლიდა თავს. აქ კი მას ადგილი არ ჰქონია; აქ უფრო დაკვრეებით და უფრო წ ნ დახედულათ იქცეოდნენ, და პარტიულ ჟინაობას არ ჰქონია დიდი ადგილი. ხალხმა უფრო აღიარა სოც. ფედერალისტების მიმართულება, რის შემდეგ პარტიული ბიუროც გახსნეს და გამოიჩერეს სხვა და სხვა პარტიის გაზეთები. მაგრამ დიდხანს არ უარსებნია ამ ბიუროს, რადგან აქ უფრო გასაკუთრებული პირობებია რომელიც შედარებაც არ შეიძლება სხვა სოფლებთან. ჩვენი სოფელი უფრო შრომის ქვეყანაა. ვიდრე სხვა. მუშა მეტ დროს ატარებს შრომაში ვიდრე ტყვიდა ლაყბობაში. უსაქმო ხელიალში ამიტომ კაცს სიძვირის გამო ბიურო დახურული იქმნა ხოლოდ მის ადგილს იჭერს სოფლის კოოპერატივი და კვირაობით აქ იკრიბება ხალხი და გეზეთობს სხვა და სხვა ახალ ამბებს. აქ მინდა აღვნიშნო ის სასიხარული მკვლელობაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა, კინკნველეთში ქარიულმა გაზეთებმა ყველას ამცნეს საზიზღარი მსვლელობა ყარამანკინველ ძის და მის ოჯახის, რომელნიც მხვეერპლი შეიქნენ ქეჩური პროვაკაციის. ექვსი ადამიანი, ერთი ოჯახ დგ ნ. რომლის მზგავს მკვლელობას არ ჰქონია ადგილი არა მარტო სოფ. კინკნველეთში, არამედ მთელ ჩვენ საშობლო საქართველოში. კი მართალია ის აზრი რომ ომმა და რევოლიუციამ, ყველას დაუტირა ნერვები, ბევრი საზიზღარი მკვლელობა მოხდა და აღნიშნულიც იყო ჩვენს პრესაში, თუ რა მიზეზთ მოხდა ასეთი მკვლელობები, აქ სულ სხვა კერძო ხასიათის ინტერესების გამო იქნა მოკლული მთელი ოჯახი. ამ სასიხარულო ამბავ ზე სტეფონის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიქცია ყურადღება და დაპატიჟა მკვლელები. უნდა ვსთქვათ ისიც რომ თვით ის ხალხი რომლებმაც მკვლელობა ჩადინეს პრაკტიკულ ანკეტაზე იქნა წამოგებული. თორემ მათ სოფლისა და ხალხს წინაშე გარდა იმ კვლელობისა არა დაუშავებიათ რა. პირიქით მათ იცნობდენ კეთილ სანდო ადამიანებათ, მე დღე ჩასს პატარა წერილში გაკვრით აღნიშნე ის ფაქტი, რასაც ადგილ ჰქონია ჩემ სოფელში საქმე ამის შესახებ კიდევ წერილს მოგებს და გამოუცხადებელია ჯერ კიდევ. როდესაც გამოიქვეყნებ მაშინ აღნიშნოთ შეძლების დაგვარად მე სრულებით არ ვეკისრულობ მათ გასამართლებას და არც ჩემი წერილის საგანს შ ადგენს მათი გასამართლება. რც შეეხება პოლშევიკურ მოძრაობას, აქ ადგილი არ ჰქონია პირიქით აქ დაკან ბევრი წავიდა სახალხო გვარდიაში, რომ აშით მათ ა[illegible] ერ[illegible] ჩაიქრ[illegible]თ. რა თქმა უნდა აქაც ერ[illegible]ს [illegible]ასუხისგებელმა პირებმა თავი. მაგრამ ამასაც მალე მოეღო ბოლო. აქ მთავრობამ მოკრიფა თოფები. რაც შეეხება თვით ხალხის ცხოვრებას ხალხისაგან გაგონილ საყვ[illegible] [illegible]ბ, რომ ისინი ვერ შეუფლობენ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ერთი სიტყვ[illegible] [illegible]ს. სიმინდს [illegible] [illegible] [illegible] ყველას [illegible]ს. მაგრამ ეთმ[illegible] [illegible] [illegible] [